

## სახაზინო სამსახურის

### ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

## საქართველოს 2016 წლის იანვარ-მაისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი საღდოს შესახებ

### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2016 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 3 689 233.3 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 3 396 668.0 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 70 146.4 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 11 815.2 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 210 603.7 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-მაისში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (3 396 668.0 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (3 935 167.8 ათასი ლარი) 86.3%;

– გადასახადების ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 716 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 3 231 978.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 87%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 477 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 189 696.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 80.5%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 962 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 731 764.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 76.1%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (457 932.5 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (515 000.0 ათასი ლარი) 88.9%;

– ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 2 191 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 615 149.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 73.7%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 750 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 220 504.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 69.7%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 394 645.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (441 000.0 ათასი ლარი) 89.5%-ია;

– ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 38 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 40 277.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 106%-ია;

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-მაისში შეადგინა 386 855.0 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 87 973.8 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 65 724.9 ათასი ლარი (რაც გეგმის 74.7%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 39 453.3 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 8 713.0 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 17 558.6 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 131 194.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 98 964.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 75.4%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 7 635.1 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2016 წლის იანვარ-მაისში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (70 146.4 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (105 800.0 ათასი ლარი) 66.3%;

მათ შორის:

– შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (6 110.4 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (26 800.0 ათასი ლარი) 22.8%;

– არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (64 036.1 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (79 000.0 ათასი ლარი) 81.1%;

მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 737.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 73.8%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 63 298.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (78 000.0 ათასი ლარი) 81.2%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 11 815.2 ათასი ლარი, რაც ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (31 800.0 ათასი ლარი) 37.2%-ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 11 814.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (31 800.0 ათასი ლარი) 37.2%.

შემოსულობები სხვა დებიტორული დავალიანებებიდან – 1.1 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 210 603.7 ათასი ლარი (რაც გეგმის – 562 853.5 ათასი ლარის 37.4%-ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 5 488.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 647.0 ათასი ლარი) 71.8%-ია;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 205 115.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (555 206.5 ათასი ლარი) 36.9%-ია, მათ შორის:

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები – 205 115.2 ლარი (რაც გეგმის – 280 206.5 ათასი ლარის 73.2%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 120 196.2 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 84 919.0 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 68 262.1 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩარიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა კონვერტირება და ხაზინის ერთიანი ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის #835

ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2016 წლის იანვარ-მაისში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 1 334.1 ათასი ლარი.

### სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 622 362.1 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 621 595.8 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 766.3 ათასი ლარი; მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)“ – 236.6 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (გრანტი)“ – 9.8 ათასი ლარი;
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (გრანტი)“ – 162.1 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (კრედიტი)“ – 92.0 ათასი ლარი;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კრედიტი)“ – 265.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 ივნისისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 474 536.8 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 474 006.4 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 530.4 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის #176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის #29-ე განკარგულების თანახმად, სულ 228 919.0 ათასი ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 147 825.2 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2016 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული 3 396 668.0 ათასი ლარის მოცულობით (ექვსი თვის გეგმა 3 935 167.8 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 3 326 161.7 ათასი ლარი (ექვსი თვის გეგმა 4 182 729.9 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 70 506.3 ათასი ლარი, ექვსი თვის გეგმა -247 562.1 ათასი ლარი (უარყოფითი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 131 129.4 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 70 146.4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 201 275.9 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -60 623.2 ათასი ლარი(უარყოფითი), ექვსი თვის გეგმა -463 785.6 ათასი ლარი(უარყოფითი).

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის #474 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 4 923 477.0 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 4 579 796.7 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 343 680.3 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 4 314 607.8 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 3 837 058.5 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 3 577.2 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 259 833.1 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 88.9%, ხოლო გეგმის 77.9%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2016 წლის იანვარ-მაისის მთლიან ხარჯებში შეადგინა 93.2%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 6.8%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის #738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-მაისში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 718 685.3 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 684 175.8 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 586 110.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 85.7%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 81.6%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 555 335.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 457 113.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 414 204.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 90.6%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 74.6%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 227 075.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 178 395.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 168 092.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 94.2% და ვალდებულების 74%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 88 636.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (94 840.1 ათასი ლარი) 93.5%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 79 455.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (83 555.1 ათასი ლარი) 95.1%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 155 125.9 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 128 468.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 123 074.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95.8%-ს და გეგმის 79.3%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 22 985.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 22 005.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 85.7%-ია, ხოლო ვალდებულების 100%.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 407 052.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 350 524.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (373 656.3 ათასი ლარი) 93.8% და საგეგმო მაჩვენებლის 86.1%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2016 წლის იანვარ-მაისში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 336 672.4 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (358 180.8 ათასი ლარი) 94%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2016 წლის იანვარ-მაისში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 242 283.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 442 106.1 ათასი ლარი) 86.1% და საგეგმო პარამეტრის (1 502 602.2 ათასი ლარი) 82.7%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 1 079 457.5 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 885 461.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 82%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 613 905.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (737 468.5 ათასი ლარი) 83.2% და გეგმის (737 598.9 ათასი ლარი) 83.2%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 331 762.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 265 287.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (331 762.4 ათასი ლარი) და ვალდებულების (331 742.5 ათასი ლარი) 80%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 396 158.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 333 943.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 84.3% და ვალდებულების (340 522.8 ათასი ლარი) 98.1%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2016 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 616 852.7 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 517 858.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 441 873.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 85.3%-ს და გეგმის 71.6%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 247 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 204 782.9 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 82.9%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 35 572.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 35 572.4 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ შეადგინა 34 714.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის 97.6%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 322 023.4 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 208 721.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 201 275.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 96.4%-ს და გეგმის 62.5%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 162 431.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 113 775.9 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (109 528.9 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 96.3% და საგეგმო მაჩვენებლის – 67.4%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის ექვსი თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 190 701.4 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 168 875.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 168 173.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.6%-ს და გეგმის – 88.2%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 15 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 15 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 9 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (21 260.0 ათასი ლარი) 42.3%-ია, ხოლო ვალდებულების 100%.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 228 022.2 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 155 236.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 141 447.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 91.1%-ს და გეგმის 62%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 122 007.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (135 785.0 ათასი ლარი) 89.9%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 19 440.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (19 451.7 ათასი ლარი) 99.9%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 3 996.1 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 2 254.5 ათასი ლარი;
- „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი“ – 981.9 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 759.7 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2016 წლის პირველი ივნისისთვის შეადგინა 331.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.



## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2016 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 3 527 437.6 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 671 998.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (853 486.1 ათასი ლარი) 78.7%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 140 635.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (210 814.3 ათასი ლარი) 66.7% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 20.9%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 168 032.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (227 016.0 ათასი ლარი) 74% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 25%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 338 294.8 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 275 452.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 81.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (3 527 437.6 ათასი ლარი) 7.8%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 505 296.2 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 387 661.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 76.7%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 219 001.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (277 202.5 ათასი ლარი) 79%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (40 680.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (55 925.0 ათასი ლარი) 72.7%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 47 115.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (66 926.4 ათასი ლარი) 70.4%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 478 164.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 338 307.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 70.7%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (20 839.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (30 718.8 ათასი ლარი) 67.8%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (88 202.2 ათასი ლარი), გეგმის (113 436.5 ათასი ლარი) 77.7% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 257 100.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 173 852.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 67.60%.

გარემოს დაცვის ხაზით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 22 823.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 16 555.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 72.5%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 25 265.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა

შეადგინა 17 231.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 68.2%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 16 197.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 10 683.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 66%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2016 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 462 067.5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 381 256.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 82.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.8%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 330 033.5 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (286 279.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 86.7%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (58 394.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (66 526.9 ათასი ლარი) 87.8%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 20 432.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (28 362.4 ათასი ლარი) 72%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 111 839.9 ათასი ლარით, რაც 2016 წლის ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (141 356.6 ათასი ლარი) 79.1%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 23 879.6 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (19 728.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 82.6%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 521 187.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 366 169.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 70.3% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.4%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 206 820.5 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (251 521.2 ათასი ლარი) 82.2%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 35 353.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (66 871.8 ათასი ლარი) 52.9%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 1 156 810.8 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 960 964.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 27.2%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 737 735.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 614 034.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 83.2%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 268 779.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (337 181.4 ათასი ლარი) 79.7%-ია.

### **საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები**

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდათოთხმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 2 522.6 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 1 410.0 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2016 წლის 1 ივნისის მდგომარეობით შეადგინა 1 112.6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდათორმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 39 945.7 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 32 124.1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 ივნისისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 7 821.6 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

### **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ თერთმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 61 404.4 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 58 942.4 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 ივნისისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 2 462.0 ათასი ლარი.

### **წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა**

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 37 177.4 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 37 421.3 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 6 000.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 5 781.4 ათასი ლარი („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა).

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ

შეადგინა 29 500.0 ათასი ლარი. აქედან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოყოფილი 25 041.5 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 25 041.5 ათასი ლარი), ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 4 458.5 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 4 124.3 ათასი ლარი).

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად ვალდებულებების კლების მუხლით გამოყოფილმა გეგმამ შეადგინა - 1 677.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა – 2 474.1 ათასი ლარი, მათ შორის მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეული ხარჯი – 866.3 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 4 124.3 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2016 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.